

► 1 — 9/2023

“GOOD REASON“-ის არსებობის მტკიცების ტვირთი შრომითსამართლებრივ დავებში

შრომითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებზე, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთვის მნიშვნელოვანი საფუძვლის, ე.წ. “GOOD REASON“-ის არსებობის მტკიცების ტვირთი, დამსაქმებელს ეკისრება. სადავოობისას, ამ საფუძვლის მნიშვნელობას აფასებს სასამართლო.

უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 13 ივნისის განჩინება საქმეზე № ას-503-2023

შრომის კოდექსის 47 I ზ) მუხლი

ფაქტობრივი გარემოებები: მოპასუხის განმარტებით, იგი კომპანიაში იკავებდა საგადასახადო კონსულტანტის პოზიციის. კომპანიის დამფუძნებელმა მოსარჩელეს ელექტრონული შეტყობინებით (ე.წ. მესიჯით) შეატყობინა, რომ აღარ სურდა მასთან თანამშრომლობის გაგრძელება და შესთავაზა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა. საპასუხოდ დასაქმებულმა შეუთვალა, რომ დათანხმდებოდა ხელშეკრულების ორმხრივად შეწყვეტას, თუკი მიიღებდა უკვე ნამუშევარი დროისა და დამატებით ორი თვის კომპენსაციას, რაზედაც კომპანიის დამფუძნებელმა უარი განაცხადა. შემდგომ, მოსარჩელეს ჩაბარდა სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანება, რომელშიც განთავისუფლების რამდენიმე საფუძველი იყო მითითებული, კერძოდ: 1) დასაქმებულს კომპანიის კლიენტთან ჰქონდა და-

მოუკიდებელი კომუნიკაცია კომპანიის გვერდის ავლით მომსახურების განევის მიზნით; 2) კლიენტის საჩივარი მოსარჩელის მიერ მომზადებულ ანგარიშში დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით; 3) კრიპტოვალუტით განსახორციელებელ ტრანზაქციებთან დაკავშირებით მოსარჩელის მიერ მომზადებული ანგარიში არ იყო სრული და ადეკვატური.

მოსარჩელემ მოითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზების დასაბუთება, რაზეც პასუხი არ მიუღია. მოსარჩელის განმარტებით, პირველი საფუძველი იყო ერთჯერადი გაუგებრობა, რომელიც სამსახურიდან გათავისუფლებამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე მოხდა, და ამ შემთხვევასთან დაკავშირებით მოსარჩელეს რაიმე სახის დისციპლინური პასუხისმგებლობა (თუნდაც, გაფრთხილება) არ დაკისრებია. მეორე პუნქტთან დაკავშირებით, მოსარჩელისათვის უცნობია კლიენტის საჩივრის შინაარსი და ასევე ის ანგარიში, რომელზეც საუბარია გათავისუფლების შესახებ ბრძანებაში. დამფუძნებელთან კომუნიკაციის შემდეგ აღმოჩნდა, რომ კომპანიის კლიენტს რეალურად საუბარი ჰქონდა არა მოსარჩელის მიერ მომზადებულ ანგარიშზე, არამედ არასწორად გაკეთებულ ბუღალტერიაზე, ხოლო მოსარჩელე არ ახორციელებდა ბუღალტერიას, იგი იყო საგადასახადო კონსულტანტი. მესამე პუნქტთან დაკავშირებით გაურკვეველია, რატომ არ იყო მოსარჩელის მიერ კრიპტოვალუტებთან დაკავშირებით მომზადებული ანგარიში სრული და ადეკვატური, გაურკვეველია თუ ვინ შეამოწმა მისი სიზუსტე, როდესაც მოსარჩელე კომპანიაში ერთადერთი საგადასახადო კონსულტანტი იყო და შესაბამისად, აღნიშნულ საკითხებზე კომპეტენცია მხოლოდ მას ჰქონდა. მოსარჩელე მიუთითებდა,

რომ დავალება მიღებული იყო გერმანულ ენაზე, რომლის ცოდნის ვალდებულებაც დასაქმებულს არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, მან სრულყოფილი ინფორმაცია მოიძია კრიპტოვალუტების დაბეგვრასთან დაკავშირებული ქართული რეგულაციების შესახებ და მიანოდა კომპანიის დამფუძნებელს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხემ აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის უარყოფა მოითხოვა წარდგენილი სააპელაციო საჩივრით. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შრომის კოდექსით გათვალისწინებული წინაპირობები განხორციელებულად არ მიიჩნია, კერძოდ, მოპასუხის მიერ მოსარჩელის სამუშაო აღწერილობის შესახებ მტკიცებულებების წარუდგენლობის გამო, არ დასტურდებოდა თუ ვინ იყო კომპანიაში ანგარიშების შედგენაზე პასუხისმგებელი პირი, ვინაიდან კომპანიაში ასევე არსებობდა ბუღალტრის შტატი. ამასთან, სასამართლომ არ გაიზიარა განმარტება, რომ მოსარჩელის მიერ მომზადებული ანგარიშის სიზუსტე შეაფასა საჯარო-ინტერნეტ სერვერებში მოძიებულ ინფორმაციასთან ურთიერთშედარების საფუძველზე. ასევე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სათანადო ცოდნის მქონე სპეციალისტის მიერ მომზადებული დასკვნის გარეშე, არ შეიძლება მიჩნეულ იყოს მოსარჩელის მიერ მომზადებული ანგარიშის/პასუხის მცდარობა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დამსაქმებელმა ვერ დაადასტურა დასაქმებულის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების უხეში დარღვევის ვერცერთი ფაქტი. აღნიშნული გადაწყვეტილება დამსაქმებელმა გაასაჩივრა საკასაციო წესით და მიუთითა, რომ მოსარჩელე კომპანიაში სამუშაოდ მიიღეს „საგადასახადო აუდიტის კონსულტანტის“ თანამდებობაზე, რაც შრომითი ხელშეკრულებით დასტურდება, სიტყვა „აუდიტი“ ნიშნავს ბუღალტრულ კონტროლს, აღნიშნული კი იმას ნიშნავს, რომ

მის სახელშეკრულებო შრომით საქმიანობაში სწორედ საგადასახადო აუდიტის მოვალეობები შედიოდა და არა საგადასახადო კონსულტირება.

უზენაესი სასამართლოს მსჯელობის შეჯამება: სასამართლომ მიუთითა, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კანონისმიერ რეგულირებას აქვს შემაკავებელი ეფექტი, რომელიც ამ ურთიერთობის მონაწილეებს იცავს თვითნებობისა და სოციალური უსამართლობისაგან. საქართველოში განხორციელებული შრომის კანონმდებლობის რეფორმის ერთ-ერთი მიზანი სწორედ დასაქმებულის უფლებების დაცვა იყო, დღესდღეობით, თითოეული დასაქმებულის საქმის ინდივიდუალური შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს ე.წ. *“favor prestatoris”* პრინციპი, რაც დასაქმებულთათვის სასარგებლო წესების უპირატესობას ნიშნავს. სწორედ აღნიშნული პრინციპის გამოყენებისას, სასამართლო აფასებს და იცავს დამსაქმებლისა და დასაქმებულის მოთხოვნებისა და ინტერესების წონასწორობას სამართლიანობის, კანონიერებისა და თითოეული მათგანის ქმედების კეთილსინდისიერების კონტექსტში. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მნიშვნელოვანი საფუძვლის მტკიცების ტვირთი დამსაქმებელს ეკისრება. ამდენად, შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებზე, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთვის მნიშვნელოვანი საფუძვლის (*“Good Reason”*) არსებობის მტკიცების ტვირთი, დამსაქმებელს ეკისრება. კანონმდებლის ასეთი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებში, „სუსტი მხარის“ - დასაქმებულის პროცესუალური თანადგომა პრიორიტეტულია. დამსაქმებელი სარგებლობს მტკიცებითი უპირატესობით, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას საამისოდ გათვალისწინებული მართლზომიერი საფუძველი ჰქონდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ წარმოშობენ იმგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ

მოსარჩელემ უხეშად დაარღვია მასზე დაკისრებული შრომითი მოვალეობები. სასამართლომ შეაფასა კასატორის არგუმენტი დამსაქმებლის მიერ შემუშავებულ ანგარიშთან მიმართებით და დაადგინა, რომ მოსარჩელის მიერ მომზადებული ანგარიშის სიზუსტის შეფასება საჯარო - ინტერნეტ სივრცეში მოძიებულ ინფორმაციასთან ურთიერთშედარების საფუძველზე, გასაზიარებელი არაა, რადგან, პირველ რიგში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერ შემთხვევაში, მოწმეთა კომპეტენცია, უპირველესად ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად წესრიგდება, ხოლო სსკ-ის 105-ე და 140-ე მუხლების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ მოწმის ჩვენების მიღებისას ეროვნულმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ყველა იმ ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორით, რაც ამ მტკიცებულების იურიდიულ ბუნებას ახლავს, მათ შორისაა მოწმის, როგორც სუბიექტის დამოუკიდებლობა მხარეთა შორის სადავო ფაქტებისა და მოვლენების მიმართ. მოწმის ჩვენება ვერ იქნებოდა სარწმუნო, რადგან იგი იყო განთავისუფლების ბრძანების ერთ-ერთი ხელმოწერი პირი, ასევე, მას არ ჰქონდა სპეციალური ცოდნა შესაფასებელი ანგარიშის მიმართ. რაც შეეხება მითითებას, კრიპტოვალუტით განხორციელებული ტრანზაქციით უკმაყოფილო კლიენტზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ ეს გარემოება საფუძვლად ვერ დაედება სადავო გარემოების დადასტურებულად ცნობას, რამდენადაც მოსარჩელის მიერ მომზადებული ანგარიშის/პასუხის მცდარობა შეიძლება დადასტურებულიყო მხოლოდ რელევანტური მტკიცებულებით, რომელიც იქნებოდა, მაგალითად, შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტის დასკვნა. შრომის სამართალში პრინციპი - „Ultima Ratio“, ითხოვს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნამდე მისი ქმედების შეფასებას კაუზალური თვალსაზრისით, დარღვევასა და გათავისუფლებას შორის ზომიერი ბალანსის დაცვას. დამსაქმებლის მიერ დარღვევის (გადაცდომის) ჩადენისას უნდა გამოიყენებოდეს ისეთი ზომები, რომელიც არსებულ ვითარებას გამოასწორებს, გააუმჯობესებს, დასაქმებულ მუშაკს უკეთესს გახდის, კვალიფიკაციას აუმაღლებს,

უფრო წინდახედულად და გულისხმიერად მოქცევას აიძულებს. შესაბამისად, მიზანშეწონილობის კუთხით, გადაცდომის დროს არჩეული უნდა იყოს პროპორციული დასჯის მექანიზმი, რაც, შედეგობრივად, გარდა იმისა, რომ დამრღვევს დასჯის, მას და სხვა დასაქმებულებს უფრო ეფექტურად შეუქმნის შრომის მოტივაციას. ყოველგვარი დარღვევის ადეკვატურ ღონისძიებას სამსახურიდან გათავისუფლება არ წარმოადგენს. მიუხედავად კანონმდებლობით მინიჭებული მართვასა და საკადრო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობის უფლებამოსილებისა, ორგანიზაციის ხელმძღვანელი შეუზღუდავი არ არის და არ სარგებლობს აბსოლუტური ავტონომიით.

ნინი ბერულავა

► 2 — 9/2023

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების პრინციპები

სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი, სამართლებრივი უსაფრთხოების, უზრუნველყოფის კრიტიკული აუცილებლობის-უალტერნატივობის, მხარეთა ინტერესების დაბალანსებისა და ინტერესთა ოპტიმალური დაკმაყოფილების პრინციპების მხედველობაში მიღებით უნდა შეაფასოს.

უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 2 ივნისის განჩინება საქმეზე № ას-403-2023

სსკ-ის 191-ე და 192-ე მუხლები

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი

სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის არბიტრაჟის წესების 37-ე მუხლი

ფაქტობრივი გარემოებები: განმცხადებელმა მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით და მოითხოვა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების პრინციპების დაცვა.

რუნველყოფის ღონისძიების სახით, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში იმ ცვლილების განხორციელების აკრძალვა, რომელიც გულისხმობს მოსარჩელე კომპანიებში წილის მმართველად კონკრეტული მოპასუხის რეგისტრირებული მონაცემის გაუქმებას.

მოპასუხეები სასოფლო - სამეურნეო მიმართულებით სამენარმეო საქმიანობას აწარმოებდნენ. ერთ-ერთმა მოპასუხემ ოჯახის წევრებისა და ნათესავების მეშვეობით დააფუძნა 7 კომპანია, რათა აღნიშნული კომპანიების მეშვეობით ემოქმედა მეორე მოპასუხესთან შეთანხმებულ ბიზნეს პროექტში და ასეთი ოპერირების სქემით მიეღო მონაწილეობა სამენარმეო საქმიანობაში. თითოეულ ახალ კომპანიას გადაეცა პირველი მოპასუხის მიერ ერთპიროვნულად დაფუძნებული კომპანიის მიწის მასივებიდან გარკვეული მიწის ნაკვეთები. თავის მხრივ, მეორე მოპასუხემ შეთანხმებულ ბიზნეს პროექტში მონაწილეობისა და მართვის მიზნით, ერთპიროვნულად დააფუძნა სხვა კომპანია, ამ უკანასკნელ კომპანიას ხელშეკრულებების საფუძველზე მიენიჭა ხსენებულ 7 კომპანიაში 100%-იანი წილის მართვის უფლებამოსილება. ყველა ხელშეკრულების შემთხვევაში, მხარეებმა გაითვალისწინეს ერთნაირი შინაარსის პუნქტი, რომლის თანახმად, მხარეებმა ხელშეკრულების ამოქმედება დაუკავშირეს მინდობილი მართვის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის ფაქტს, ასევე, ყველა ხელშეკრულება განსაზღვრული იყო ერთნაირი ვადით. მიუხედავად შეთანხმებისა, მოპასუხეებმა უარი განაცხადეს იმ ვალდებულების შესრულებაზე, რომელიც გაითვალისწინებული იყო ხელშეკრულებებით, რის შედეგადაც მოსარჩელეს მიაღდა ზიანი, შესაბამისად, იგი იძულებული გახდა დაეწყო საარბიტრაჟო წარმოება და საარბიტრაჟო სარჩელით მართვის დამფუძნებლებისაგან მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება. მოპასუხე და მისი მხრიდან დამფუძნებლებად და დირექტორებად მართვა-

ში გადაცემულ კომპანიებში ნომინირებული დანარჩენი მოპასუხეები, მისი მითითების არსებობის პირობებში, მზად იყვნენ რომ გაეკოტრებინათ, ფორმალურად, მაგრამ მაინც მათივე მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიები, რათა შეუძლებელი ყოფილიყო მინდობილი მართვის ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, სამართავი კომპანიების სანესდებო კაპიტალიდან წილის მინდობილი მმართველისათვის საკუთრებაში გადაცემა. მოპასუხეებმა არაერთხელ განახორციელეს ისეთი მოქმედებები, რომლებიც ცხადყოფენ ქონების დატაცებასა და მისი სამეურნეო აქტივების დაზიანებას. ერთ-ერთი მსგავსი ქმედებით, თვალთმაქცური გარიგების საფუძველზე, „კეთილსინდისიერი შემძენის“ საბურველში გახვევის მიზნით, ერთი კომპანიის კუთვნილი მიწის ნაკვეთები აღრიცხა სხვა, იდენტური სახელწოდების მქონე კომპანიის სახელზე, რომელიც მოპასუხის დაფუძნებულია და მხოლოდ მისი დირექტორობით იმართება.

არბიტრაჟში დავის პარალელურად, ამ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, აღძრულია სარჩელი და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია იხილავს დავას დასახელებული გარიგებების ბათილად ცნობისა და ბათილი გარიგებებით გასხვისებული ოთხივე უძრავი ნივთის დაბრუნების თაობაზე.

საინტერესოა, რომ მოპასუხემ იცოდა, შეუთანხმებლობის შემთხვევაში, წილის მინდობილ მმართველს სხვა გზა არ ექნებოდა, თუ არა არბიტრაჟში დავა, შესაბამისად, მას მოუწევდა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების აღიარება, რაც დროში გაწელილი პროცესია. მის დასრულებამდე, მოპასუხე მინდობილი მართვის ხელშეკრულების ვადის ამონურვის გარემოებაზე აპელირებით, შეეცდებოდა წილის მინდობილი მართვის სამენარმეო რეესტრში არსებული რეგისტრირებული მონაცემების ცვლილებას.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა გონივრული ვარაუდი, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების

გამოუყენებლობა რომ გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა შემდგომი გადაწყვეტილების აღსრულებას, გამოინვევდა გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნებოდა მოპასუხეთათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. შესაბამისად, გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, სააპელაციო პალატის მიერ დაკმაყოფილდა. მოპასუხეებმა მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საჩივრის დაკმაყოფილება იმაზე მითითებით, რომ მოსარჩელემ შეცდომაში შეიყვანა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა და დაუმალა საქმის რეალური გარემოებები, პალატა კი განჩინების გამოტანისას დაეყრდნო მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ცრუ გარემოებებს, ამასთან, ხელშეკრულებებში არსად იყო დაწესებული აკრძალვა რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანაზე. მოპასუხე ასევე მიუთითებს საპროცესო დანაწესებზე, რომ არ არსებობს ჩანაწერი, რომლის საფუძველზეც სარჩელის უზრუნველყოფა გავრცელდება რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების აკრძალვაზე. კანონის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ზომად შეიძლება გამოყენებული იყოს ის ვალდებულებები და ქონებრივი პასუხისმგებლობა რომელიც განსაზღვრულია მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის შეჯამება: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, მოპასუხის საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ გარემოება, იმასთან დაკავშირებით, ეწინააღმდეგებოდა თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობებს, ასევე შეასრულა თუ არა მოსარჩელემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, არ შეიძლებოდა კვლევის საგანი გამხდარიყო, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე მოთხოვნის მართებულო-

ბის კვლევისას სასამართლო არ აფასებს მტკიცებულებებს და არ იკვლევს, თუ რამდენად დგინდება სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, რამდენადაც მითითებული, შესაძლოა განხორციელებულიყო არბიტრაჟის მიერ საქმის არსებითი განხილვისას. საარბიტრაჟო შეთანხმების თანახმად, წარმოშობილი დავა უნდა განეხილა ქ. სტოკჰოლმის სავაჭრო პალატას, ხოლო მითითებული არბიტრაჟის წესების¹ 37-ე მუხლი ითვალისწინებდა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დროებითი ზომების გამოყენების შესაძლებლობას, თუმცა ამავე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილად მიიჩნია, რომ: „მხარის მიერ სასამართლო ორგანოს მიმართ დროებითი ზომების შესახებ მოთხოვნა არ არის შეუთავსებელი საარბიტრაჟო შეთანხმებასთან ან ამ წესებთან.“ ამდენად, თავად მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული არბიტრაჟის დებულების წესების თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო განეხილა მხარის განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რაც თავის მხრივ გამორიცხავდა საქმის წარმოების შეწყვეტის სამართლებრივ საფუძველებს.

უზენაესი სასამართლოს მსჯელობის შეჯამება: სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მიზნად ისახავს საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ საარბიტრაჟო ინსტიტუტში (სტოკჰოლმის არბიტრაჟში) წარდგენილი სარჩელის უზრუნველყოფას. სასამართლომ პირველ რიგში შეამოწმა, ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს უწყებრივად და აქვს თუ არა მას მოცემულ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია, რითაც დაადგინა, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩე-

¹ SCC Arbitration Rules

ლის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის წესები, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის დებულებები გამოიყენება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის საქართველო, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც საარბიტრაჟო განხილვა მის ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს. ამასთან, ორივე შემთხვევაში, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის სამართალი ან სამართლებრივი სისტემა აირჩიეს მხარეებმა მათ შორის წარმოშობილი დავის მოსაწესრიგებლად. სსკ-ის 191-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს მოთხოვნა, სასამართლოს, განმცხადებლის მითითების საფუძველზე უნდა შეექმნას მყარი შინაგანი რწმენა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამოუყენებლობა შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას. თავის მხრივ, სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს სახელით გამოტანილ მართლმსაჯულების აქტს, რომელიც მოდავე მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, აწესრიგებს და მიმართულია კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის დაცული და აღიარებული უფლების რეალიზებისაკენ; წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულების დროისათვის აღმოჩნდება, რომ შეუძლებელია სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგის განხორციელება, მართლმსაჯულება რეალურ მიზანს დაკარგავს. რაც შეეხება მტკიცების სტანდარტს, დასახელებული ნორმა განსაზღვრავს, რომ მხარემ უნდა მიუთითოს იმ სავარაუდო და მოსალოდნელ გარემოებაზე, რაც

რეალურად გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხებისა თუ შეუძლებლობის წინაპირობა გახდება. ამასთან, აღნიშნულის სწორად გადაწყვეტის წინაპირობა, სწორედ უზრუნველყოფის ღონისძიების მართებულობის, მხარეთა ინტერესების შესაძლო შელახვისა და მოთხოვნის საფუძვლიანობის წინაპირობების ურთიერთშეჯერება და ერთობლივად განხილვა - გადაწყვეტაა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე, ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულებულია საქმეზე განპირობებული იურიდიული შედეგის - სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. მართალია, სსკ-ის 198 II მუხლი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ჩამონათვალს, მაგრამ ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. შესაბამისად, ღონისძიების ჩამონათვალთან მიმართებით არ მოქმედებს „Numerus clausus“ პრინციპი, მაგრამ ხსენებული საპროცესო დანაწესი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ სასამართლო უზრუნველყოფის კრიტიკული აუცილებლობისა და მხარეთა ინტერესების დაბალანსების გზით, ვალდებულია განსაზღვროს, თუ რომელი ზომა უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტულ შემთხვევაში.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის თაობაზე მოსარჩელის მოტივაცია ძირითადად აგებულია და ემყარება იმ გარემოებას, რომ უშუალოდ მოპასუხის კარნახით ხელმძღვანელობისა და კონტროლის პირობებში, კომპანიები შეეცდებიან მართვაში გადაცემული კომპანიების პარალიზებას, ქონებების გადამალვას, გასხვისებასა და დაზიანებას, რაც მინდობილი მმართველისათვის გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს. სსკ-ის 191-ე მუხლში მოხსენიებული „გამოუსწორებელი და

პირდაპირი ზიანის” არსებობის ან წარმოშობის საფრთხე უნდა შეაფასოს სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობაზე მსჯელობისას, რაც პირდაპირ კავშირშია სასამართლოს მიერ კონკრეტულ დავაზე მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლო ხელშეშლასთან და შეფასდეს მხოლოდ ამ თვალსაზრისით. აქ არ უნდა ვიგულისხმოთ ზოგადად ყველა პოტენციური ზიანი, რომელიც შეიძლება მოდავე მხარეებს მიადგეთ მათი ურთიერთობიდან, არამედ, მოსარჩელე უნდა ადასტურებდეს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გამოიწვევს გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეშლას იმგვარად, რომ მოსარჩელეს მიადგება გამოუსწორებელი და პირდაპირი ზიანი ან ისეთი ზიანი, რომელიც ვერ იქნება კომპენსირებული მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით.

სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის მოტივაცია უმთავრესად მდგომარეობდა მართვაში გადაცემული კომპანიების სახელზე რიცხული ქონებების გადამალვის, გასხვისებისა და დაზიანების საფუძველზე ამ კომპანიების პარალიზების, მათი ფუნქციონირების გართულების თავიდან აცილებაში და არა სადავო საქმეზე მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეშლელი რისკების განეიტრალებაში. მართალია, რომელიმე მხარის მხრიდან კომპანიებისათვის ზიანის მიყენების ფაქტი საქმის არსებითი განხილვის შედეგად გადასაწყვეტ საკითხთა წრეს მიეკუთვნება, რაც საქმეში წარდგენილ მტკიცებულებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის შედეგად გადანყდება, თუმცა, როდესაც ორივე მხარე ასეთი რისკების არსებობაზე მიუთითებს, სააპელაციო პალატას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი, სამართლებრივი უსაფრთხოების, უზრუნველყოფის კრიტიკული აუცილებლობის, მხარეთა ინტერესების დაბალანსებისა და ინტერესთა ოპტიმალური დაკმაყოფილების პრინციპების მხედველობაში მიღებით, უნდა შეეფასებინა.

სარჩელის უზრუნველყოფის ინტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფლების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი

პირობების შექმნა, თუმცა მხარეთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, დაცული უნდა იყოს მოპასუხის ინტერესებიც. უფლების დროებით შეზღუდვის დროს მნიშვნელოვანია გონივრული ბალანსის დაცვა დაცულ/დასაცავ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის. ამის შეფასების გონივრული სტანდარტია, ასევე, ღონისძიების უალტერნატივობის განხილვა, მოსარჩელის მიერ მითითებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, იყო თუ არა უალტერნატივო იმ სიკეთის დასაცავად, რომლის დაცვის მიზნითაც იყო უზრუნველყოფა გამოყენებული. სასამართლო ვალდებული იყო განესაზღვრა, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიება იყო თუ არა კავშირში განმცხადებლის მოთხოვნასთან, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, უალტერნატივოდ უზრუნველყოფდა თუ არა გადაწყვეტილების აღსრულებას მაშინ, როდესაც რვავე კომპანიის საკუთრებაში ირიცხება სხვადასხვა უძრავი ქონება და გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების შემთხვევაში, გამოიწვევდა თუ არა მოსარჩელის დარღვეული უფლებების სრულ და რეალურ აღდგენას. კრიტიკის საგანია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან განჩინება არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, სტოკჰოლმის საარბიტრაჟო ინსტიტუტში წარდგენილი საარბიტრაჟო სარჩელის სასარჩელო მოთხოვნების პირობებში, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება იმ სახით, რა სახითაც ამას მოსარჩელე მოითხოვს, უზრუნველყოფს თუ არა მხარეთა ინტერესების ოპტიმალურ დაკმაყოფილებას, ხომ არ გამოიწვევს მოპასუხეთა ინტერესების გაუმართლებელ, არაპროპორციულ შეზღუდვას, ასევე, წარმოადგენს თუ არა კონკრეტულად ამ საქმეზე მოსარჩელის მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებას და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მისი აღსრულება რატომ იქნება შეუძლებელი მითითებული სახით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე, ანუ მითითებული სახით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, არის თუ არა უალტერნატივო იმ სიკეთის დასაცავად, რომლის დაცვის მიზნითაც

იყო გამოყენებული. შესაბამისად, საქმე საჩივრის ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

ნინი ბერულავა

► 3 — 9/2023

ექიმის გაუფრთხილებლობის დადგენის კრიტერიუმები

პაციენტის დაზიანებისას ექიმის მხრიდან გაუფრთხილებლობა სახეზეა მაშინ, როდესაც მან ნაკისრი ვალდებულებები აუცილებელი გულისხმიერებისა და ყურადღების გარეშე განახორციელა. გულისხმიერებასა და ყურადღებაში იგულისხმება ექიმის მიერ საჭირო სამედიცინო მოქმედებების ზედმიწევნით ხარისხიანად, აღიარებული სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად შესრულება

უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 17 ნოემბრის განჩინება საქმეზე № ას-1169-2022

სკ-ის 992-ე, 1007-ე მუხლები

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ო) ქვეპუნქტი

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელემ მიმართა სტომატოლოგიური კლინიკის ექიმს - მოპასუხეს, რომელსაც მკურნალობის თანხას უხდიდა ნაღდი ანგარიშსწორებით, ეტაპობრივად. მკურნალობა ჩატარდა უხარისხოდ, რის გამოც მოსარჩელე განიცდიდა ძლიერ ტკივილს, ამის გამო იძულებული გახდა მიემართა სხვა ექიმებისთვის. აღმოჩნდა, რომ ტკივილის მიზეზი იყო ნაწილობრივ უხარისხოდ განეული სამედიცინო მომსახურება, რის გამოც, მოსარჩელის კბილები სრულად ამოსაღები იყო, რამაც მას მორალური ტრავმა მიაყენა. მოსარჩელემ მოითხოვა, რომ მოპასუხეს დაეკისროს ის მატერიალური ზიანი, რაც მიადგა არასწორი მკურნალობით და მორალური ზიანი, მიყენებული სულიერი ტრავმისთვის. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით

სარჩელი ცნო ნაწილობრივ და მოთხოვნის გამომრიცხავ შესაგებელში მიუთითა, რომ მოსარჩელე ვერ ადასტურებს ზიანის ფაქტს, ასევე, კაუზალური კავშირის არსებობას მოპასუხის ქმედებასა და მოსარჩელისთვის შესაძლო ზიანის მიყენებას შორის. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა თანხის ის ნაწილი, რა ნაწილშიც ცნო იგი მოპასუხემ, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მოპასუხე მკურნალი ექიმის მხრიდან პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო ისეთი სადიანოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების განხორციელება, რაც განაპირობებდა ზიანის ანაზღაურებისთვის სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობას. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. უცვლელი დარჩა მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის უარყოფის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის შეჯამება: სკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, პირი რომელიც სხვა პირს განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. სამედიცინო შეცდომით მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობები იგივეა, როგორც ყველა დელიქტურ ვალდებულებებში: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და კაუზალური კავშირი. თითოეული ამ კომპონენტის თავისებურება სამედიცინო საქმიანობის ხასიათით განისაზღვრება. ამავე პირობების არსებობას მოითხოვს სკ-ის 1007-ე მუხლი, რომლის მიხედვით სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზ-

ლაურდება საერთო საფუძვლებით. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ზიანის არსებობის ფაქტი, ხოლო ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი. ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელია დადგინდეს საექიმო შეცდომა. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 3 ო) მუხლის თანახმად, მცდარ სამედიცინო ქმედებად განმარტებულია ექიმის მიერ უნებლიეთ, პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა. კანონის აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ ექიმის მიერ პაციენტისათვის ზიანის მიყენება არ უნდა იყოს წინასწარ განზრახული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქმედება არ მოექცევა „ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემული მცდარი სამედიცინო ქმედების ფარგლებში.

სამედიცინო შეცდომის თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ პაციენტისათვის მიყენებული ზიანის დასადგენად საკმარისია დადგინდეს ექიმის გაუფრთხილებლობა, რაც გულისხმობს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების აუცილებელი გულისხმიერებისა და ყურადღების გარეშე განხორციელებას, ანუ, ექიმის მიერ საჭირო სამედიცინო მოქმედებების აღიარებული სამედიცინო სტანდარტების დარღვევით შესრულება. ამასთან, მკურნალობის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუკი პირისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია უშუალოდ მცდარი სამედიცინო მოქმედებით, ანუ გამოკვეთილია კაუზალური კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. დელიქტიდან გამომდინარე სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ახასიათებს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი, შესაბამისად, მტკიცების ტვირთის განაწილება მხარეთა შორის შემდეგნაირად

ხდება: დაზარალებული ვალდებულია დაამტკიცოს მისთვის ზიანის არსებობის ფაქტი, ასევე, კაუზალური კავშირის არსებობა ზიანის მიმყენებლის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. ზიანის მიმყენებელმა, თავის მხრივ, უნდა დაამტკიცოს მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობა.

სასამართლომ გამოარკვია, რომ გარდა მოპასუხე კლინიკისა, მსგავსი მომსახურება მოსარჩელემ მიიღო რამდენიმე სტომატოლოგიური კლინიკისგან, ხოლო წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა მოპასუხე მკურნალი ექიმის მხრიდან პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო ისეთი სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების განხორციელების ფაქტი, რაც განაპირობებდა ზიანის ანაზღაურებისთვის სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობას - არ დასტურდება კაუზალური კავშირი მოპასუხის მიერ განხორციელებულ სამკურნალო ღონისძიებებსა (კბილების დაბეჭენა) და ექსპერტის დასკვნებში მითითებულ შედეგს შორის, რაც სარჩელის უარყოფის საფუძველია.

უზენაესი სასამართლოს მსჯელობის შეჯამება: საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამედიცინო შეცდომით მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობები იგივეა, როგორც ყველა დელიქტურ ვალდებულებებში: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და კაუზალური კავშირი. დასახელებული თითოეული კომპონენტის თავისებურება სამედიცინო საქმიანობის ხასიათით განისაზღვრება. თითოეული ამ კომპონენტის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ექიმის ან სამედიცინო დაწესებულების მიმართ პაციენტს შეიძლება წარმოეშვას, როგორც ხელშეკრულებიდან, ასევე დელიქტური ნორმებიდან. შეიძლება ექიმს იმ შემთხვევაშიც დაეკისროს პასუხისმგებლობა თუ, მას რაიმე ხელშეკრულება არ გაუფორმებია პაციენტთან, გამომდინარე იქიდან, რომ მკურნალობის დაწყებით ექიმისათვის და არასამედიცინო (დამხმარე) პერსონალისთვისაც წარმოიშობა ვალდებულება, კანონით დადგენილ ფარგლებში დაიცვან და შეინარჩუნონ პაციენტის ჯანმრთელობა. ექიმის

მიერ ჩატარებული მცდარი მკურნალობა, როგორც წესი, ხელშეკრულების დარღვევაც არის და დელიქტიც. მოთხოვნის ორივე საფუძველი თანაბარია და შესაბამისად, მოთხოვნის დაფუძნება ორივე საფუძველზე ერთდროულად არის შესაძლებელი. ამასთან, დელიქტური ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას გამოიყენება სახელშეკრულებო ზიანის მომწესრიგებელი ნორმები. სკ-ის 326-ე მუხლის წესები, სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ, გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. მითითებული ნორმის გამოყენება ხშირია სასამართლო პრაქტიკაში, რომელიც ეხება პერსონალისა და სამედიცინო დაწესებულების მიერ პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შედეგად წარმოშობილი დავების სამართლებრივ კვალიფიკაციას. აღნიშნული ვალდებულება წარმოიშობა დაზარალებულის აბსოლუტური უფლების ხელყოფის შედეგად, ატარებს არასახელშეკრულებო ხასიათს და მიმართულია მიყენებული ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურებისკენ. პირს ზიანის ანაზღაურება ეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ სახეზეა ზიანი, მიყენებული მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს კაუზალური კავშირი და ბრალი ზიანის მიმყენებელს მიუძღვის. სამედიცინო სპეციფიკიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი, სამედიცინო მუშაკის ქცევის, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქცევის კვალიფიკაციისას, აუცილებელია არასათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ფაქტის დადგენა. ამასთან, მკურნალობის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუკი პირისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია უშუალოდ მცდარი სამედიცინო მოქმედებით, ანუ გამოკვეთილია კაუზალური კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ის

გარემოება, რომ ზიანი გამოიწვია სამედიცინო პერსონალის ქმედებამ, უტყუარად უნდა დადგინდეს. უშედეგო მკურნალობა ან მკურნალობის უარყოფითი შედეგი უალტერნატივოდ არ იწვევს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას. ზიანი გამოწვეული უნდა იყოს მკურნალობისას დაშვებული შეცდომებით, ანუ, თუ მკურნალობა სწორადაა წარმართული, თუნდაც, მას უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, არ იწვევს ექიმის პასუხისმგებლობას. „მცდარი საექიმო ქმედების“ განმარტებულია როგორც ექიმის მიერ უნებლიეთ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებებს, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა. საექიმო შეცდომად კი მიიჩნევა ექიმის მიერ საზოგადოდ აღიარებული სამედიცინო და ეთიკური სტანდარტების, კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დარღვევა, რამაც განაპირობა პაციენტის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებები, რომლებიც პაციენტისათვის ზიანის მიყენების უშუალო მიზეზი გახდა. ექიმს ეკისრება მტკიცების ტვირთი, იმასთან დაკავშირებით რომ პაციენტს მართლზომიერად და უშეცდომოდ უმკურნალეს, იგი პასუხს აგებს არასწორ მკურნალობაზე და მხოლოდ ასეთი მკურნალობის თანმდევ უარყოფით შედეგზე.

სასამართლომ განმარტა, რომ სწორედ სპეციფიკიდან გამომდინარე, სამედიცინო მუშაკის პასუხისმგებლობის საფუძველი არის არა მკურნალობის უარყოფითი შედეგი, არამედ სამედიცინო სტანდარტებიდან გადახვევა, შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგობის მტკიცებისას, სწორედ აღნიშნულ სტანდარტებთან შეუსაბამობა უნდა ამტკიცოს დაზარალებულმა. მხოლოდ პაციენტის განმარტება, რომ ის გაუსაძლისი ტკივილები, რომლითაც იგი იტანჯებოდა გამოწვეული იყო მისი ექიმის მოქმედებით ან/და დანიშნული მკურნალობით, საკმარის გარემოებად არ უნდა იყოს მიჩნეული.

დელიქტური ვალდებულების დაკისრების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ბრალი, რაც განაპირობებს იმას რომ, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა უშუალოდ ზიანის მიმყენებელს უნდა დაეკისროს. დელიქტურ სა-

მართალში აღიარებულია ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი. პაციენტისათვის მიყენებული ზიანისას, როგორც წესი, ექიმის განზრახი ბრალი არ არსებობს. ასეთ შემთხვევებში, საკმარისია, დადგინდეს ექიმის გაუფრთხილებლობა, რაც გულისხმობს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების აუცილებელი გულისხმიერებისა და ყურადღების გარეშე განხორციელებას, რაც გულისხმობს გულისხმიერებასა და ყურადღებულობას, ექიმის მიერ საჭირო სამედიცინო მოქმედებების ზედმინევით ხარისხიანად, აღიარებული სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად შესრულებად.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ კატეგორიის დავებში პაციენტს ეკისრება ფაქტების სრულყოფილად და დამაჯერებლად წარდგენისა და გაცხადების ვალდებულება. სამედიცინო დელიქტის, როგორც ზიანის დადგომის აუცილებელი წინაპირობის არსებობის მტკიცების ტვირთის შესახებ სპეციალურ მონესრიგებას შეიცავს სკის 1007-ე მუხლი, რომლის შინაარსი პირდაპირ მიემართება მტკიცების პროცესს და განსაზღვრავს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესს. ნორმის პირდაპირი მითითებით „ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის“, სამართლებრივ ურთიერთობაში ამოქმედებულია სამედიცინო მომსახურების გამწევის მოქმედების ბრალეულობის პრეზუმფცია, რომელიც იმის წინასწარ განსაზღვრას ემსახურება თუ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომელი მხარისათვის უფრო ადვილი იქნება ობიექტურად დაამტკიცოს ესა თუ ის ფაქტი. პრეზუმფციის დამტკიცებით, კანონმდებელი, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს იცავს მტკიცების გადაულახავი ტვირთის დაკისრებისაგან და ამ მიზნით, აწესებს მტკიცების სტანდარტს.

სასამართლო აღნიშნა, რომ პრეზუმფციის საფუძველზე პაციენტის ჯანმრთელობას ზიანი სამედიცინო დაწესებულების ბრალით მიადგა და სანაღმდეგოს დადასტურება სამედიცინო დაწესებულების მტკიცების ტვირთია, რადგან სამედიცინო დაწესებულების ბრალი ივარა-

უდება მანამ, სანამ იგი სანაღმდეგოს არ დაამტკიცებს. სამედიცინო ხასიათის შეცდომის შედეგად მიყენებული ზიანის კვლევისას, დაზარალებულის მტკიცების ტვირთი კი არის ზიანის დადგომა და კაუზალური კავშირის არსებობა.

თუ პაციენტის განმარტებები არ დადასტურდება, მაშინ სამკურნალო შეცდომა პაციენტის მოთხოვნის სანაღმდეგოდ, არ დამტკიცდება. ასევე, პაციენტმა უნდა წარმოადგინოს და დაამტკიცოს, რომ დამდგარი ზიანი ეფუძნება სამედიცინო დაწესებულების ვალდებულების დარღვევას.

აღნიშნულ შემთხვევაში, სასამართლო დაეყრდნო ექსპერტის დასკვნას, რომლის მიხედვით, მოსარჩელე პერიოდულად მიმართავდა სხვა სტომატოლოგიურ კლინიკებს, სადაც სპეციალისტები სიტყვიერად განუმარტავდნენ, რომ ჰქონდა ჯანმრთელობის პერიოდული პრობლემა. სამედიცინო ექსპერტიზის საფუძველზე, დადგინდა, რომ მოპასუხის მიერ განხორციელებული სამედიცინო მომსახურება შეიცავდა არაარსებით ნაკლოვანებებს, რომელთა გამოსწორებაც ადვილი და მარტივია, რის საფუძველზეც სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციების არგუმენტები, რომ არ დასტურდება მოპასუხე მკურნალი ექიმის მხრიდან პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო ისეთი სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების განხორციელების ფაქტი, რაც განაპირობებდა ზიანის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული წინაპირობების არსებობას — არ დასტურდება კაუზალური კავშირი მოპასუხის მიერ განხორციელებულ სამკურნალო ღონისძიებებსა (კბილების დაბჯენა) და ექსპერტიზის დასკვნებში მითითებულ შედეგს შორის.

მორალური ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება წარმოეშობა, მაშინ, როდესაც მის სამართლებრივ სიკეთეს არამართლზომიერი ხელყოფის შედეგად ზიანი მიადგება. დელიქტის მომწესრიგებელი ნორმით გათვალისწინებული სიკეთე, როგორც პირველადი მოთხოვნის საფუძველი დამოუკიდებელი ქმედების შემადგენლობაა. განსახილველ დავაში, რადგან მოსარჩე-

ლემ ვერ მოახდინა მტკიცების ტვირთის რეალიზება, რის გამოც, სამედიცინო დელიქტის განმაპირობებელი ფაქტობრივი წანამძღვრები არ

არსებობს, მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილიც იმავე ბედს იზიარებს.

ნინი ბერულავა